IFRS

THE POWER OF BEING UNDERSTOOD

AUDIT | TAX | CONSULTING

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

RSM

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	I
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	II-IV
სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-28

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია სააქციო საზოგადოება „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი"-ს (შემდგომში - „კომპანია") ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯნვის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან, წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 14 თებერვალს.

ვახტანგ არაშიძე (დირექტორი) **ანა გოგუაძე (ბუღალტერი)**

RSM

RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორის“ აქციონერებს და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორის“ („კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“* ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) *„პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“* ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ
  კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ
  მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

14 თებერვალი, 2019

RSM Georgia

არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

მპს "არ ეს ემ საქართველო" GEORGIA RSM 202449207 RSM GEORGIA

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
ფინანსური ანგარიშგება
ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2018	2017
	შენიშვნა	ლარი	ლარი
საკომისიო შემოსავალი	3	483,357	451,804
საკომისიო ხარჯი	4	-	(1,333)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		**483,357**	**450,471**
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის (ზრდა)/შემცირება	5	(13,355)	27,792
საპროცენტო და სხვა შემოსავალი	7	80,548	59,337
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	6	27,166	(10,010)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(276,250)	(236,156)
სხვა ხარჯები		-	(20,085)
მოგება დაბეგვრამდე		**301,466**	**271,349**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**301,466**	**271,349**

სხვა სრული შემოსავალი

სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		-	-
სულ სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		**301,466**	**271,349**

შემოსავალი ერთ აქციაზე

საბაზისო	9	**0.48**	0.43

ვახტანგ არუშიძე — დირექტორი

ანა გოგუაძე — ბუღალტერი

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
ფინანსური ანგარიშგება
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

		31.12.2018	31.12.2017
	შენიშვნა	ლარი	ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	12,012	16,028
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	15	457,231	615,186
სულ გრძელვადიანი აქტივები		**469,243**	**631,214**
მიმდინარე აქტივები			
დებიტორული დავალიანება	11	66,593	141,724
წინასწარ გადახდილი გადასახადები		66,148	66,286
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	15	270,594	-
ფული და ფულის ექვივალენტები	12	699,797	533,554
სულ მიმდინარე აქტივები		**1,103,132**	**741,564**
სულ აქტივები		1,572,375	1,372,778
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	13	630,000	630,000
გაუნაწილებელი მოგება		892,555	701,332
სულ კაპიტალი		1,522,555	1,331,332
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
დარიცხული ვალდებულებები	14	49,820	41,446
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**49,820**	**41,446**
სულ ვალდებულებები		**49,820**	**41,446**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,572,375	1,372,778

ვახტანგ არუშიძე — დირექტორი

ანა გოგუაძე — ბუღალტერი

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
ფინანსური ანგარიშგება
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	630,000	429,983	1,059,983
საანგარიშგებო წლის მოგება	-	271,349	271,349
სულ წლის სრული შემოსავალი	-	271,349	271,349
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	630,000	701,332	1,331,332
სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილების გავლენა (შენიშვნა 2)		(110,243)	(110,243)
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	630,000	591,089	1,221,089
საანგარიშგებო წლის მოგება	-	301,466	301,466
სულ წლის სრული შემოსავალი	-	301,466	301,466
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	630,000	892,555	1,522,555

ვახტანგ არაშიძე — დირექტორი

ანა გოგუაძე — ბუღალტერი

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი"
ფინანსური ანგარიშგება
ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2018	2017
	შენიშვნა	ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		301,466	271,349
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	4,015	2,883
კურსთაშორის სხვაობის წმინდა (მოგება)/ზარალი	6	(27,166)	10,010
საპროცენტო შემოსავალი	7	(80,548)	(59,337)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ხარჯი/(აღდგენა)	5	13,355	(27,792)
ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში:			
დებიტორული დავალიანების ზრდა	11	(41,532)	(7,971)
წინასწარი გადახდების შემცირება		138	113
კრედიტორული დავალიანების ზრდა/(შემცირება)	14	8,375	(3,772)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრები		**178,103**	**185,483**
მიღებული პროცენტები		80,548	59,337
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**258,651**	**244,820**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	10	-	(12,478)
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების (ზრდა)/შემცირება	15	(93,419)	(240,646)
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		**(93,419)**	**(253,124)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საფინანსო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები			
1 იანვრის მდგომარეობით	12	**533,554**	**550,787**
წმინდა შემცირება წლის განმავლობაში		165,232	(8,304)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		1,011	(8,929)
31 დეკემბრის მდგომარეობით	12	**699,797**	**533,554**

ვახტანგ არუშიძე — დირექტორი

ანა გოგუაძე — ბუღალტერი

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

1 ანგარიშის წარმდგენი პირი

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“, ს.კ. 205156374 (შემდგომში - „კომპანია“) დაარსდა 2006 წელს და იურიდიულ პირად დარეგისტრირდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. 2007 წლის 1 თებერვალს მოხდა სამი რეგისტრატორის: შპს "კომპანია-ცენტრის" (ქ. თბილისი 1996 წ.), შპს "ICT დელამენის" (ქ. თბილისი 1999 წ.) და შპს "რეესტრ-ცენტრის" (ქ. ბათუმი 1999 წ.) გაერთიანება და შემდგომში შერწყმა კომპანიასთან.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, ი. ჭავჭავაძის №74ა / მოსაშვილის №11, კომპანია 2015 წლის 10 აგვისტოდან წარმოადგენს სს „ბიჯი ფაინანშალი“-ს შვილობილ კომპანიას. კომპანია საქმიანობას ეწევა #70006 (სახელმწიფო რეგისტრაციის #2/4 –1984) ლიცენზიით, რომელიც 2000 წლის 26 იანვარს გაიცა შპს "ICT დელამენის“-თვის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ, (2007 წლის 1 თებერვალს განხორციელებული შერწყმის შედეგად ლიცენზიის პირობები გადავიდა კომპანიაზე). აღნიშნული ლიცენზიის საფუძველზე, კომპანია სააქციო საზოგადოებებს (ემიტენტებს) სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებებს როგორც სათაო ოფისში, ასევე რეგიონალურ წარმომადგენლობებსა და უშუალოდ ემიტენტებთან, უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების რეესტრის ფორმირებას, კონსოლიდაციას, საჯარო და არასაჯარო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების (ემისიის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება, და ა.შ.) დარეგისტრირებას. კომპანია ახდენს ფასიანი ქაღალდების რეესტრების დაცულ წარმოებას, მონაცემთა ბაზების დაარქივებას და შენახვას. ასევე, კლიენტის მოთხოვნით, აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას, კრებაზე დასწრებასა და ხმების დათვლას, კანონმდებლობის გათვალისწინებით, ფასიან ქაღალდებზე სატენდერო შეთავაზებისა და სავალდებულო მიყიდვის პროცედურებში მონაწილეობას.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2 ანგარიშგების მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა

(ა) ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") თანახმად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ემყარება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს. რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

„საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ფასს 9:

კომპანიამ ფასს 9 დანერგა 2018 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტით წარადგინა ფინანსური აქტივების ახალი კლასიფიკაციისა და შეფასები მოდელები.

ფინანსური აქტივი შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „ რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს). მიუხედავად ამ მოთხოვნებისა, ფინანსური აქტივი შეიძლება შეუცვლელად იყოს რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით, რათა შეამციროს ეფექტი, ან აღმოფხვრას აღრიცხვაში შეუსაბამობა.

მოგებაში ან ზარალში ასახვით, რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისთვის, სტანდარტი მოითხოვს რომ რეალურ ღირებულებაში ცვლილება, რომელიც უკავშირდება საწარმოს საკრედიტო რისკს, აისახოს სხვა სრულ შემოსავალში (OCI- ში)

(თუ ეს არ წარმოშობს აღრიცხვაში შეუსაბამობას). ახალი გამარტივებული ჰეჯირების აღრიცხვა მიზნად ისახავს საბუღალტრო გატარებების უფრო მჭიდროდ დაკავშირებას კომპანიის რიკს-მენეჯმენტის საქმიანობასთან.

განახლებული ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნები იყენებს "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("ECL") მოდელს რეზერვის შეფასებისთვის. გაუფასურება ფასდება 12 თვიანი ECL მეთოდის გამოყენებით, თუ საფინანსო ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რომლის დროსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ECL მეთოდია უკვე დანერგილი.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის, კომპანია იყენებს საკრედიტო ზარალის შეფასების გამარტივებულ მიდგომას, რაც გულისხმობს რეზერვის შექმნას აქტივების მთლიანი სასიცოცხლო ვადის მანძილზე.

ფასს 15:

კომპანიას „ფასს 15“ 2018 წლის 1 იანვრიდან აქვს დანერგილი. სტანდარტი განსაზღვრავს შემოსავლების აღიარების ერთიან მოდელს.

სტანდარტის ძირითადი პრინციპია ის, რომ საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

სტანდარტში წარმოდგენილია ახალი, კონტრაქტზე დაფუძნებული, შემოსავლების აღიარების მოდელი შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც ეფუძნება გარიგების ფასის მიკუთვნებას. ეს აღწერილია შემდგომში ქვემოთ

მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში. საკრედიტო რისკი წარმოდგენილია ცალკე როგორც ხარჯი, ვიდრე კორექტირებული ამონაგების შემოსავლის შეპირისპირებულად.

მომხმარებელებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, სახელშეკრულებო აქტივი, ან მოთხოვნა, რაც დამოკიდებულია საწარმოს შესრულების ტიპზე და კლიენტის გადახდაზე. კლიენტის მოზიდვის, ასევე ხელშეკრულების შესასრულებლად გაწეული ხარჯები, რომლებიც გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, შესაძლებელია დაკაპიტალიზირდეს, როგორც აქტივი და ამორტიზირდეს ხელშეკრულების პერიოდის განმავლობაში.

ახალი სტანდარტების დანერგვის გავლენა

ფასს 9 და ფასს 15 მიღებულ იქნა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მათი გავლენა გაუნაწილებელ წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების არე	1 იანვარი 2018
ფასს 9-ის გავლენა	(110,243)
ფასს 15-ის გავლენა	-
გაუნაწილებელ მოგებაზე გავლენა 1 იანვრის მდგოამრეობით	(110,243)

ფინანსური ინსტრუმენტების (ფასს 9) ცვლილება დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილის სახით:

	ბასს 39 საბალანსო ღირებულება 31.12.2017	რეკლასიფიკაცია	შეფასების ცვლილება	ფასს 9 საბალანსო ღირებულება 1.1.2018
ამორტიზირებული ღირებულებით	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
დებიტორული დავალიანება	141,724	-	(102,470)	39,254
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	615,186	-	(7,773)	607,413
სულ	756,910	-	(110,243)	646,667

ახალი ფასს 9 - ის შედეგად აქტივების შეფასების კატეგორია არ შეცვლილა, ფინანსური აქტივები როგორც ძველი, ასევე ახალი სტანდარტით შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, თუმცა განსხვავება გამოწვეულია ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასებაში. განახლებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ახალი მოთხოვნები მოთხოვნები იყენებს "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("ECL") მოდელს გაუფასურების ანარიცხის შექმნისთვის, მაშინ როდესაც ძველი სტანდარტი ბასს 39 გაუფასურების ანარიცხის შეფასებისას მსგავსი შეფასების მოდელი არ იყო რელევანტური და კომპანია გაუფასურების ანარიცხის ქმინიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც იყო ამის ობიექტური მტკიცებულება.

2018 წლის ანგარიშგების ელემენტების შედარება ძველი და ახალი სტანდარტით:

	ახალი სტანდარტით	ძველი სტანდარტით	სხვაობა
საკომისიო შემოსავალი	483,357	483,357	-
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის	(13,355)	(78,121)	64,766
საპროცენტო და სხვა შემოსავალი	80,548	80,548	-
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	27,166	27,166	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(276,250)	(276,250)	-
მოგება დაბეგვრამდე	301,466	236,700	64,766
წლის მოგება	301,466	236,700	64,766

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	727,825	737,090	(9,265)
დებიტორული დავალიანება	66,593	102,805	(36,212)
სხვა დანარჩენი აქტივები	777,957	777,957	-
სულ აქტივები	1,572,375	1,617,852	(45,477)
ვალდებულებები	49,820	49,820	-
სულ ვალდებულებები	49,820	49,820	-
წმინდა აქტივები	1,522,555	1,568,032	(45,477)

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 *იჯარა* (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

(ბ) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორიცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

(გ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	20% წრფივი
ელექტრო და სხვა აღჭურვილობა	20% წრფივი

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(დ) საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

(ე) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის, იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება *„სამართლიანი* ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი"
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მაძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

იმ დებიტორული დავალიანებებისთვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ყველა ფინანსური ვალდებულება აღიარების შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(ზ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღს მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	USD	EUR	GBP
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	3.3955
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3,1044	3.5005
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5345	2.9913	3.3812
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5095	2.8322	3.2315

(თ) მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[1]-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

(ი) ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

(კ) კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად, მათი გამოცხადების მომენტისთვის (ანუ არსებობს დივიდენდებზე სათანადო უფლებამოსილება და ისინი აღარ წარმოადგენენ სუბიექტის უფლებას). შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

3 საკომისიო შემოსავალი

	2018	2017
	ლარი	ლარი
საკომისიო შემოსავალი	334,834	305,310
სააბონენტო შემოსავალი	148,523	146,494
სულ საკომისიო შემოსავალი	483,357	451,804

საკომისიო შემოსავლები მოიცავს ემიტენტების საჯარო და არასაჯარო ფასიანი ქაღალდების რეესტრში ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციების (ემისიის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება, და ა.შ.) დარეგისტრირებას, მოთხოვნის თანახმად, აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას. სააბონენტო შემოსავლები მოიცავს ემიტენტების მხრიდან გადასახდელ ყოველთვიურ სააბონენტოებს.

4 საკომისიო ხარჯი

საკომისიო ხარჯები მოიცავს ფიქსინგის ხარჯებს, რომელსაც კომპანია იხდის ემიტენტების დავალებების საფუძველზე გარიგების საქართველოს საფონდო ბირჟაზე რეგისტრაციისათვის. აღნიშნული ხარჯები კომპანიას 2018 წლის განმავლობაში არ ჰქონია.

5 ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის (ზრდა)/შემცირება

	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	დებიტორული დავალიანები	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	-	(377,332)	(377,332)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი/ამოღებული თანხები	-	27,792	27,792
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(349,540)	(349,540)
სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილების გავლენა (შენიშვნა 2)	**(7,773)**	**(102,470)**	**(110,243)**
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(7,773)	(452,010)	(459,783)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	-	461	461
წლის განმავლობაში ამოღებული თანხები	-	11,083	11,083
გაუფასურების რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(1,492)	(22,946)	(24,438)
2018 წლის 31 დეკემბერი	(9,265)	(463,412)	(472,677)

6. კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	13,840	1,287	84,245	99,372
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(12,829)	(3,617)	(55,760)	(72,206)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი) 2018 წლის განმავლობაში	1,011	(2,330)	28,485	27,166

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	41,711	20	71,114	112,845
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(50,640)	-	(72,214)	(122,855)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი) 2017 წლის განმავლობაში	(8,929)	20	(1,100)	(10,010)

7 საპროცენტო და სხვა შემოსავალი

	2018	2017
	ლარი	ლარი
შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან	42,613	33,785
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	36,418	24,182
სხვა შემოსავალი	1,517	1,370
სულ საპროცენტო და სხვა შემოსავალი	80,548	59,337

8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
	ლარი	ლარი
ხელფასების ხარჯი	(155,850)	(153,805)
პრემიის ხარჯი	(34,725)	(29,000)
იჯარის ხარჯი	(30,114)	(29,868)
ჯარიმების ხარჯი	(16,100)	-
საკონსულტაციო ხარჯი	(13,000)	(12,000)
კომუნალური გადასახადების ხარჯი	(6,258)	(4,970)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	(4,015)	(2,883)
კომუნიკაციის ხარჯი	(3,874)	-
დაცვის ხარჯი	(1,620)	-
სხვა ხარჯი	(10,694)	(3,630)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(276,250)	(236,156)

9 შემოსავალი ერთ აქციაზე

	2018	2017
მრიცხველი: კაპიტალით მიღებული შემოსავალი	ლარი	ლარი
წლის მოგება	301,466	271,349
სულ წლის მოგება	301,466	271,349
მნიშვნელი: აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	აქციათა რაოდ.	აქციათა რაოდ.
აქციების საშალო შეწონილი რაოდენობა	630,000	630,000
შემოსავალი ერთ აქციაზე		
საბაზისო	0.48	0.43

აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა მიუთითებს მიმოქცევაში არსებულ აქციებზე პერიოდის განმავლობაში.

10 ძირითადი საშუალებები

	ელექტრო მოწყობი-ლობები	კომპიუტერული ტექნიკა	საოფისე ინვენტარი	სხვა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ღირებულება					
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,580	39,803	6,845	1,945	54,173
შეძენა	4,322	1,299	6,857	-	12,478
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,902	41,102	13,702	1,945	66,651
შეძენა	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,902	41,102	13,702	1,945	66,651
ცვეთა და გაუფასურება					
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,238	34,712	6,845	1,945	47,740
ცვეთა წლის მანძილზე	658	1,690	535	-	2,883
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,896	36,402	7,380	1,945	50,623
ცვეთა წლის მანძილზე	1,158	1,493	1,364	-	4,015
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,054	37,895	8,744	1,945	54,638
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,342	5,091	-	-	6,433
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,006	4,700	6,322	-	16,028
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,848	3,206	4,958	-	12,012

კომპანიას გააჩნია სრულად გაცვეთილი აქტივები რომელთა ჯამური ღირებულება 44,518 ლარია.

11 დებიტორული დავალიანება

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
კლიენტების მიერ გადასახდელი თანხები	510,322	472,714
სხვა მოთხოვნები	19,683	18,550
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი (იხ. შენიშვნა 5)	(463,412)	(349,540)
სულ დებიტორული დავალიანება	66,593	141,724

საეჭვო მოთხოვნების რეზერვი მოიცავს 2007 წლიდან საანგარიშებო პერიოდამდე იმ სააბონენტო და საკომისიო გადასახდელების ჯამს რომელთა გადახდაც არ განხორციელებულა ემიტენტების მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

12 ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
ნაშთი საბანკო ანგარიშზე	82,538	77,358
დეპოზიტები	617,267	456,196
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	699,797	533,554

დეპოზიტები შედგება მოკლევადიანი დეპოზიტებისგან. ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებს ერიცხება 8,5 - 9% სარგებელი , ხოლო უცხოურ ვალუტაში (დოლარში) განთავსებულ დეპოზიტებს კი - 2,75%
შემოსავალი დეპოზიტებიდან იხილეთ მე-7 განმარტებით შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფულსა და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

13 სააქციო კაპიტალი

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
საწესდებო:		
1,260,000 ჩვეულებრივი აქცია თითოეული 1 ლარის ოდენობით	1,260,000	1,260,000
გამოშვებული და სრულად გადახდილი:		
ჩვეულებრივი აქცია თითოეული 1 ლარის ოდენობით	630,000	630,000

14 დარიცხული ვალდებულებები

კომპანიის დარიცხული ვალდებულებები შედგება 28,000 ლარი კომპანიის თანამშრომლებისთვის გადასახდელი პრემიებისგან და 21,820 ლარი სხვა ვალდებულებებისგან (2017 : შესაბამისად 27,000 ლარი და 14,446 ლარი).

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დარიცხული ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

15 დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

კომპანიის დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მოიცავს შემდეგ ფინანსურ აქტივებს:

	ვალუტა	საწყისი თანხა ვალუტაში	დაფარვის ვადა	სარგებელი	31.12.2018	31.12.2017
					ლარი	ლარი
მ2 რეალ ისთეიითის ობლიგაციები*	აშშ დოლარი	104,322	ოქტომბერი, 2019	7.50%	274,039	270,423
1.საქართველოს სალიზინგო კომპანიის ობლიგაციები	აშშ დოლარი	133,000	აგვისტო, 2020	7%	355,988	344,763
2.საქართველოს სალიზინგო კომპანიის ობლიგაციები	აშშ დოლარი	40,000	ივნისი, 2021	6,5%	107,064	-
სულ გაუფასურების რეზერვამდე					737,091	615,186
გაუფასურების ანარიცხი					(9,265)	-
წმინდა დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები					727,825	615,186

შემოსავლები დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებიდან იხილეთ მე-7 განმარტებით შენიშვნაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

*2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია მოკლევადიან აქტივებში, ამ ფინანსური აქტივისთვის დაგროვილი გაუფასურების ოდენობა შეადგენს 3,445 ლარს.

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა იხილეთ მე-5 განმარტები შენიშვნაში.

16 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

2010 წლის იანვარში, კომპანიას გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება, იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განახლებადია ყოველწლიურად.

კომპანია მომავალში გადაიხდის საიჯარო გადასახადს შეუქცევად საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებით, შემდეგი მინიმალური ოდენობით 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
ერთი წლის ვადაში	31,596	30,676
ერთ წელზე მეტი, მაგრამ ხუთი წლის ვადაში	-	-

17 ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
    - საპროცენტო რისკი
    - სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	699,797	533,554
დებიტორული დავალიანება	66,593	141,724
დაფარვის ვადამდე ფლობილი იწვესტიცია	727,825	615,186
სულ ფინანსური აქტივები	1,494,215	1,290,464
ფინანსური ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	49,820	41,446
სულ ფინანსური ვალდებულებები	49,820	41,446

საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკის საფრთხეს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით. მომხმარებლის საკრედიტო ლიმიტების დაწესების დროს გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოები, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები	699,797	533,554
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	727,825	615,186
დებიტორული დავალიანება	66,593	141,724

როგორც შენიშვნა 12 განმარტავს, ფული და ფულის ექვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისა და დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებისათვის. დებიტორული დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

რაც შეეხება დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ფინანსურ ანგარიშგებაში დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის გაუფასურების ზარალი აღიარებულია 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის გაანგარიშებით, ვინაიდან თავდაპირველი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულებების (სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები) შესრულების ვადა იყო ერთი წელი.

ამჟამად, კომპანია გეგმავს ყველა ვალდებულების შესრულებას სახელშეკრულებო ვადით. ასეთი ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანიის მოლოდინის თანახმად, საოპერაციო საქმიანობით მოხდება საკმარისი ფულადი სახსრების შემოდინება.

ლიკვიდურობის რისკი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები		699,797	-	-	-	699,797
დებიტორული დავალიანება		66,593	-	-	-	66,593
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	7%	270,594	457,231	-	-	727,825
სულ ფინანსური აქტივები		1,036,984	457,231	-	-	1,494,215
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები		49,820	-	-	-	49,820
სულ ფინანსური ვალდებულებები		49,820	-	-	-	49,820
ლიკვიდურობის პოზიცია		987,164	457,231	-	-	1,444,395

ლიკვიდურობის რისკი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები		533,554	-	-	-	533,554
დებიტორული დავალიანება		141,724	-	-	-	141,724
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	7%	-	615,186	-	-	615,186
სულ ფინანსური აქტივები		675,278	615,186	-	-	1,290,464
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები		41,446	-	-	-	41,446
სულ ფინანსური ვალდებულებები		41,446	-	-	-	41,446
ლიკვიდურობის პოზიცია		633,832	615,186	-	-	1,249,018

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	31.12.2018		31.12.2017	
წლიურ %-ში	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	8-9%	2.70%	8-9%	2.70%
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	-	7%	-	7%

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებას.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	ფული და ფულის ექვივალენტები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ლარი	66,593	-	573,963	640,556
აშშ დოლარი	-	727,825	125,834	853,659
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	66,593	727,825	699,797	1,494,215

ფინანსური აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	ფული და ფულის ექვივალენტები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ლარი	127,827	-	407,351	535,178
ევრო	305	-	31,892	32,197
აშშ დოლარი	13,592	615,186	94,311	723,089
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	141,724	615,186	533,554	1,290,464

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
ლარი	49,820	41,446
სულ ფინანსური ვალდებულებები	49,820	41,446

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება / გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ გაზრდის / შეამცირებს დაბეგვრის შემდგომ მოგებას 85,366 ლარით (2017: 72,309 ლარით).

18 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას აკონტროლებს სს „ბიჯი ფაინანშალი“, რომელიც ფლობს კომპანიის ჩვეულებრივი აქციების 100%-ს. სს „ბიჯი ფაინანშალი“ სს „საქართველოს ბანკთან“ ერთად შედის “Bank of Georgia Group PLC“ ჯგუფში. სს „ბიჯი ფაინანშალი“ ამზადებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, სადაც ხდება სს „ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“-ს ფინანსური მაჩვენებლების კონსოლიდირება.

ტრანზაქციების მოცულობა	2018	2017
	ლარი	ლარი
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან		
საკომისიო შემოსავალი	31,089	119,464
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	2,168	7,860

სს „საქართველოს ბანკის“ ჯგუფის საწარმოებისთვის კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ტარიფები (გარდა სააბონენტო ტარიფებისა), ისევე როგორც სხვა ერთ ბიზნეს-ჯგუფის წევრი საწარმოებისთვის, განსაზღვრულია 25%-იანი დისკონტით.

	31.12.2018	31.12.2017
საბალანსო ნაშთები	**ლარი**	**ლარი**
საბალანსო ნაშთები „საქართველოს ბანკთან":		
ფული და ფულის ექვივალენტები	699,797	533,554
საბალანსო ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან		
დებიტორული დავალიანება	15,772	20,002
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	457,231	615,186
დარიცხული ვალდებულებები	3,850	3,750

საპროცენტო შემოსავალი საქართველოს ბანკში განთავსებული ფულადი სახსრებიდან იყო - 36,418 ლარი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

	2018	2017
ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება	**ლარი**	**ლარი**
ხელფასები და დანამატები	50,150	49,950

19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ამ ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა რომელიც შეიძლება, რომ აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network.

Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm, each of which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity of any description in any jurisdiction.

The RSM network is administered by RSM International Limited, a company registered in England and Wales (company number 4040598) whose registered office is at 11 Old Jewry, London EC2R 8DU.

The brand and trademark RSM and other intellectual property rights used by members of the network are owned by RSM International Association, an association governed by article 60 et seq of the Civil Code of Switzerland whose seat is in Zug.

© RSM International Association, 2018